

დადგენილება № ცვ-0993-22
დაჯარიმების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

22 დეკემბერი, 2022 წ.

- დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.
- საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 22 დეკემბერი.
- ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:
ფიზიკური პირი ნოდარ შენგელია, პირადი № 60001104322, დაბ. 1989 წლის 16 თებერვალს, მის. ქ. ქუთაისი, სევერიან ისიანის ქ. № 1, ტელ.: 574 80 50 06.
- საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:
2022 წლის 16 დეკემბერს, ქ. ქუთაისში, სევერიან ისიანის ქ. № 1-ში, აბონენტ ნოდარ შენგელიას აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერჯის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აბონენტს ელექტრომრიცხველში შემავალი ნულოვანი სადენი საყრდენზე ჰქონდა ჩახსნილი, ხოლო ალტერნატიული ნული აღებული იყო სახლში არსებული დამიწებიდან. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერჯიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერჯის რაოდენობა შეადგენდა 10,4 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერჯიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. ნოდარ შენგელიას მიმართ 20.12.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009634 ოქმს სამართალდამრღვევი ხელს არ აწერს და არც აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ნოდარ შენგელია არის ადმინისტრაციულად ორჯერ სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. პირველი სამართალდარღვევა გამოვლენილია 2022 წლის 20 ივნისს ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, ადსკ-ის მუხლი 96¹, ნაწილი I, ოქმი ას № 009553. 2022 წლის 23 ივნისის № ცვ-0893-22 დადგენილებით დაედო ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება, ხოლო მეორე სამართალდარღვევაც გამოვლენილია ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 2022 წლის 14 ივლისს, ადსკ-ის მუხლი 96¹, ნაწილი II, ოქმი ას № 009557. 2022 წლის 21 ივლისის № ცვ-0901-22 დადგენილებით დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 100 (ასი) ლარი. საქმეში ასევე წარმოდგენილია 16.12.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A1053099 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომლებითაც დასტურდება ნოდარ შენგელიას მიერ ელექტროენერჯის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმებამილების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი), რომელთა მეშვეობით დგინდება ნოდარ შენგელიას მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ნოდარ შენგელია გაეცნო ოქმის შინაარსს, მაგრამ არ მისცა ახსნა-განმარტება და არ ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. № 19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. № 14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU № 2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ნოდარ შენგელია, პირადი № 60001104322, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 100 (ასი) ლარი.

7. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და ტარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე